# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება

N 14
28/06/2017

14-08-4-201706281736

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61- მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.**

დამტკიცდეს ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა,, თანახმად დანართისა. (დანართი 1).

**მუხლი 2.**

დამტკიცდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა,, თანახმად დანართისა. (დანართი 2).

**მუხლი3.**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 4 თებერვლის №8 დადგენილება ,,ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო

ნუსხის დამტკიცების შესახებ“. (www.matsne.gov.ge 09/02/2015 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.114.016249)

**მუხლი 4.**

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 01 ივლისიდან.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა